



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## המנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აპრილი  
(იარი)  
№4 (477)  
(5781)  
2021

„הנורה“

עיתון יהודי

בגוריה



ევრა-აზიის ებრაელთა  
კონგრესი

კონგრესის მხარდაჭერით ისრაელის გამომცემლობაში „პა კიბუც პა მეუხად“ გამოვიდა ივრითზე თარგმანილი გამოჩენილი ებრაელი მწერლის პერეც მარკისის შვილის — დავიდ მარკისის ნიგნი, რომელშიც ავტორი მოგვითხრობს მამის — პერეც მარკისის ცხოვრებასა და ტრაგიკულ ბედზე: იგი გახლდათ პოეტი, პროზაიკოსი, ებრაელ მწერალთა შორის ლენინის ორდენის(1939წ) პირველი კავალერი. პერეც მარკი 1949 წ. დააპატიმრეს, როგორც ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტის პრეზიდენტის წევრი (ეს კომიტეტი, 1942წ. სტალინის მითითებით შეიქმნა, რათა მოეხდინა მსოფლიოს ებრაელობის კონცენტრირება საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ და სტალინისავე სურვილით გაუქმდა 1948წ.ამ დღიდან დაიწყო მისი ხელმძღვანელების დევნა)პერეც მარკი სამი წელი ანამებდნენ, 1952 წ. კი დახვრიტეს.

### საგაბილო წიგნი

2019-20 წლებში ევრაზიის კონგრესის სამეცნიერო საკვლევმა ინსტიტუტმა, რომელსაც პროფესორი ზევე ხანინი ხელმძღვანელობს, რეგიონის ხუთ სახელმწიფოში ჩაატარა მასშტაბური კვლევითი სამუშაო. ამ მასშტაბური კვლევის მეცნიერული ანალიზი — კვლევის ნაწილობრივი შედეგი ზევე ხანინმა და დოქტორმა ველვ ჩერნიმა გამოაქვეყნეს კრებულში: „ებრაული იდენტობის მასშტაბური კვლევის შედეგი“ რამდენიმე



ჩატარებული კვლევა გამოქვეყნდება უახლოეს პერიოდში.

### პრინციპი იერუსალიმში განისვენებს

ამ დღეებში 99 წლის ასაკში აღესრულა დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედის მეუღლე — პრინცი ფილიპი. ბევრისათვის უცნობია, რომ პრინცი ფილიპის დედა — დანიისა და საბერძნეთის პრინცესა ელისი (ალისა) იერუსალიმში, ზეთისხილის მთაზე მდებარე სასაფლაოზე განისვენებს. პრინცესა ელისმა მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელთა დიდი ოჯახის სიცოცხლე იხსნა — ფაშისტებისაგან დაიფარა. იგი „იად ვაშემის“ ნორმის მიხედვით, შერაცხულია მსოფლიოს ხალხთა წმინდანად. გარდაცვალების წინ პრინცესამ ისურვა, რომ სწორედ იერუსალიმში ზეთისხილის მთაზე დაესაფლავებინათ.

### დასაქმება ისრაელში



12 აპრილიდან საქართველოს მოქალაქეების ისრაელში ლეგალურ დასაქმებაზე რეგისტრაცია დაიწყო. რეგისტრაცია შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში პორტალზე: <http://workabroad.moh.gov.ge/>

ისრაელის სახელმწიფოსა და საქართველოს მთავრობას შორის დადებული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ისრაელის სახელმწიფოში ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში დამხმარე მუშაკის პოზიციაზე დასაქმებას შეძლებენ.

სამუშაოს ხანგრძლივობა არის სრული განაკვეთი, 6 სამუშაო დღე კვირაში, 42 საათი კვირაში. თვის დარიცხული ხელფასი კვირაში 42 საათიანი სამუშაო გრაფიკით - 5300 შეკელი.

ისრაელში ჩასული დასაქმებულები მიიღებენ ვიზას, რომელიც ძალაში ერთი წლის განმავლობაში იქნება და რომლის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მაქსიმუმ 63 თვემდე.

სამუშაო ადგილების კვოტა - იგეგმება 1000 საქართველოს მოქალაქის დასაქმება წლის ბოლომდე.

დასაქმების მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- განათლება;
- სამუშაო სკოლა დამთავრებული;
- სახელმწიფოს მიერ აღიარებული სახლის პირობებ-

ში გასანევი სამედიცინო დახმარება/მოვლის ტრენინგის გავლის დამადასტურებელი დიპლომი/სერტიფიკატი ან ექთნის/ექთნის თანამშრომლის დიპლომი.

ინგლისური ან რუსული ენის საკომუნიკაციო დონეზე ფლობა

- ზოგადი მოთხოვნები:
- საქართველოს მოქალაქე;
- ასაკი: 25-დან 45 წლამდე;
- სიმაღლე: არა ნაკლებ 1.5 მეტრი. წონა: არა ნაკლებ 45 კგ;

- ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი;
- ნასამართლეობის არ მქონე;
- ისრაელში მუშაობის ისტორიის არ მქონე;
- არასდროს უცხოვრია ისრაელში უნებართვოდ;
- არ უნდა ჰყავდეს მშობლები, მეუღლე, შვილები, რომლებიც მუშაობენ ან ცხოვრობენ ისრაელში;
- კანდიდატმა უნდა განაცხადოს თანხმობა რომ ისრაელში შესვლამდე გაიაროს COVID-19-ის ტესტი საქართველოში;
- კანდიდატი თანახმა უნდა იყოს ისრაელში ჩასვლის შემდეგ COVID-19-ის ვაქცინაციაზე, რომელიც აუცილებელია ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებაში სამუშაოდ ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. (აღნიშნული მოიცავს COVID-19 ვაქცინაციის 2 დოზის ჩატარებას, 3 კვირის შუალედით).

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს <https://www.facebook.com/worknet.gov.ge> ან დაუკავშირდით ცხელ ხაზს - 1505.

დროებითი ლეგალური დასაქმება საქართველოსა და ისრაელს შორის დადებული შეთანხმების ფარგლებში ხორციელდება.

ვრცლად: <http://stratcom.gov.ge/s/58cd4>

### ლექსიმი!

დათო მალრაქი  
- ლეხაიმ, ხაიმ!  
- ხაიმ, ლეხაიმ!  
მუდამ რბევა და ძებნა საშველის...  
სიკვდილის ბანაკს ერქვა „დახაუ“  
და კედელს ეცხო სისხლი ქაშერის.  
ქუსლი ქუსლზე და მჭახე  
- ზიგ ჰაილ!  
და წინ, სივრცეში გაჩრილი ხელი,  
ძველი აღთქმიდან მოვა მიხაილ,  
რომ დაგიაშოს ჭრილობა ძველი.

კითხვა და ზედვე გინება ჯიშის,  
- ვის გადაარჩენ? მოკლედ, ხანა ან  
სარა! - ბავშვების თვალეებში შიში,  
ო, რა შორს იყავი მაშინ, ქანაან.

და ეცხო კედელს სისხლი ქაშერის  
და გრძობდი აღთქმულ მიწის სიმორეს.  
მე კი ამ ლექსში მისთვის დაუშვერი,  
რომ თვალზე ცრემლი ვერ მოვიშორე.

იყო შეკვეთა:  
- უფრო სასტიკად!  
ჯილდოვდებოდა უსასტიკესი  
და სამკლაურზე ჩანდა სვასტიკა,  
სვასტიკათაგან უსვასტიკესი.

ანტისემიტის ვაქცინით აცრის  
ბელადი მასებს, ხოტბად მამულის,  
ეპოქა იყო ხან უფრო მკაცრი,  
ხან ცოტა ვეგეტარი-ანული.

კითხვა და ზედვე გინება ჯიშის,  
- ვის ირჩევ? მოკლედ, გვითხარ, ხანა ან  
სარა! - ბავშვების თვალეებში შიში,  
... რა შორს იყავი მაშინ, ქანაან.

ჯოხით პურია შემოღდა ბექობს  
და ეგვიპტელებს დაუდგა შოუ,  
მერე არმსტრონგის გაისმა ექო:  
- Let my people go!

სად დაიკარგა თეთრი ბატკანი  
და ვარსკვლავების ცაზე თარეში,  
მოწყდება ალბათ ერთი მათგანი  
და შეცურდება იორდანეში.

იკითხავს მწვემსი:  
ცაზე ის რა ელ-  
ვარებს, ან რისი არის ნიშანი?  
გზა უდაბნოზე გადის, ისრაელ,  
ზემთთ ცაა და ქვემთთ ქვიშანი.

მისწვდა უდაბნოს წყალი და თოხი  
და ზეთუნის მოჩანს ნაყოფი,  
ახლა სცენიდან ქადაგებს ჯოხი, -  
წითელი წყალის ორად გამოყოფი.

აღთქმულ მიწისკენ მივყავართ შოსეს,  
გზადაგზა ვწრუპავ ქაშერის ღვინოს,  
სადირიფორო პულტთან დგას მოსე:  
- მცნება პირველი,  
ლა ბემოლ მინორ!

თემის გაგრძელება იხ. მე-7 გვ.

# ებრაელები საქართველოში:

## ისტორიულ-დემოგრაფიული ნარკვევი

რეზაზ ბაჩინილიაძე

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №3)

### ებრაული მოსახლეობა საბჭოთა საქართველოში

1926 წ. საბჭოთა კავშირში ჩატარდა მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა, რომლის მასალები საქართველოს სსრ-ის შესახებ გამოქვეყნდა თბილისში 1929 წ. [მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. განყოფილება I. ეროვნება - დედა ენა - ნლოვანება - წერა-კითხვის ცოდნა. ა.კ.ს.ფ.ს.რ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს გამომცემლობა. ტფილისი, 1929].

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ყველაზე კარგად მოსახლეობის აღწერა საბჭოთა კავშირში ჩატარებული სწორედ 1926 წ. ამ აღწერის გამოქვეყნებული მასალები შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ეთნიკური ფგუფების განსახლება სასოფლო თემების დონეზეც კი.

საქართველოს სსრ-ში 1926 წ. ცხოვრობდა სულ 2 666 494 ადამიანი.

მოსკოვში შემუშავებული ერთიანი მეთოდით მთელ კავშირში აღრიცხვებოდა 190 „ხალხი“ (რუსულად - народность). თანამედროვე ტერმინოლოგიით, ეს „ხალხები“ იყვნენ „ეთნიკური და სუბეთნიკური ფგუფები“, მათ შორის იყო ექვსი ებრაული სუბეთნოსი (რუსულად: евреи; евреи грузинские; евреи крымские; евреи среднеазиатские; караимы; евреи горские).

საბჭოთა პერიოდის არცერთი აღწერის დროს არ დასმულა კითხვა ადამიანის რელიგიური კუთვნილების შესახებ. ამიტომაც ებრაელების რიცხოვნობის დადგენა როგორც 1926 წლის, ისე ყველა მომდევნო, აღწერის მასალებში შესაძლებელია მხოლოდ მითითებული ეროვნების მიხედვით.

საქართველოში 1926 წ. აღრიცხვა ებრაელთა ექვსივე სუბეთნოსის წარმომადგენლები: 20897 ადამიანი იყო ქართველი ებრაელი, 9262 - ებრაელი (იგულისხმებიან ამკენაზი ებრაელები), 176 - ყირიმელი ებრაელი, 145 - შუა აზიელი ებრაელი, 98 - ყარაიმი და 54 - მთიელი ებრაელი.

1926 წ. ექვსივე სუბეთნოსის ებრაელთა რიცხოვნობამ ჯამში შეადგინა 30632 ადამიანი, ანუ საქართველოს მთელი მოსახლეობის 1,15 პროცენტი, ხოლო ცალკე ქართველთა ებრაელებმა - 0,78 პროცენტი.

ქართველი ებრაელები საქართველოს ყველა ებრაელის 68,2 პროცენტს შეადგენდნენ. ეს მონაცემი მიუთითებს 1897 წ. მოსახლეობის აღწერის უზუსტობაზე, როდესაც ქართველი ებრაელების რიცხოვნობა ამკენაზიზე ნაკლები აღმოჩნდა.

1897-1926 წლებში საქართველოს მთელი ებრაელობის საშუალო წლიური მატების ტემპმა 1,8% შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ებრაული მოსახლეობა მატულობდა როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური მოძრაობის ხარჯზე. ეს უკანასკნელი გულისხმობდა ამკენაზი ებრაელების შემოდივნას საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან. 1926 წ. საქართველოში ამკენაზი ებრაელების ყველაზე დიდი თავმოყრა აღინიშნა ქ. თბილისში, შემდეგ - ქ. ბათუმში.

რაც შეეხება დედა ენას 1926 წ. ქართველი ებრაელების 99,9 პროცენტ-

მა (28 ადამიანის გარდა), ასეთად დაასახელა ქართული.

ამკენაზ ებრაელებში ვითარება უფრო ჭრელი აღმოჩნდა: მათი 41,5% დედა-ენად მიიჩნევდა „თავისი ეროვნების ენას“ (იდიშს), 53,2% - რუსულს, 3% - ქართულს, ხოლო 2,3% - სხვა ენას, ან საერთოდ არ უთითებდა დედა-ენას.

წერა-კითხვის ცოდნის დონე 1926 წ. მაღალი ჰქონდათ ამკენაზ ებრაელებს: მათი 73,6% ნიგნიერი იყო. ქართველ ებრაელებს შედარებით დაბალი მაჩვენებელი აღმოაჩნდათ - 32,4%-მა იცოდა წერა-კითხვა (მამაკაცებს შორის - 38, ქალებში - 27%-მა). წერა-კითხვის ცოდნის დონე ყველაზე დაბალი იყო შუა აზიელ(ბუხარელ) ებრაელებში (21,1%).

ებრაელების განსახლება ნაჩვენებია ცხრილ 3-ში, სადაც მანერები, ქალაქები, დაბები და თემები მოყვანილია 1920-იან წლებში საქართველოს სსრ-ში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად. თემი მოიცავდა რამდენიმე ახლომდებარე სოფელს.

1926 წ. საქართველოს ათიოდე მანერის მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურაში ებრაელობა არ აღრიცხვულა. აღწერის გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, აფხაზეთსა და აჭარაში მცხოვრები ებრაელების უმრავლესობა ამკენაზი იყო (თითქმის ყველა მათგანი ცხოვრობდა სოხუმსა და ბათუმში). სამხრეთ ოსეთში აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი ებრაელი იყო; ყველა მათგანი ქ. ცხინვალში ცხოვრობდა.

1926 წ. საქართველოს ებრაელობის 72,9 პროცენტი ურბანიზებული იყო, რაც მკვეთრად აღემატებოდა იმდროინდელი საქართველოს ურბანიზაციის დონეს (22 პროცენტი). ებრაული მოსახლეობის თითქმის ნახევარი (49,4 პროცენტი) კონცენტრირებული იყო დიდ ქალაქებში - თბილისში (ყველა ებრაელის 29,4 პროცენტი), ქუთაისსა (16,3 პროცენტი) და ბათუმში (3,7 პროცენტი). იმდროინდელ საშუალო და პატარა ქალაქებში (სოხუმი, ფოთი, გორი, ახალციხე, თელავი, ცხინვალი, ლუქსემბურგი, ონი, სენაკი, სურამი, ბორჯომი) ცხოვრობდა ებრაელობის 23,5 პროცენტი.

ზოგიერთ პატარა ქალაქში ებრაელები მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს შეადგენდნენ. მაგალითად, ქონის 2932 მცხოვრებიდან 40,1 პროცენტი ებრაელი იყო. ქ. ცხინვალის 5818 მცხოვრებიდან 30,0 პროცენტი ქართველი ებრაელი იყო (იქვე ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ 33 პროცენტს, ქართულენოვანი სომხები - 17,3 პროცენტს, ხოლო ოსები - 19,8 პროცენტს).

ებრაელობის 27,1 პროცენტი სასოფლო მოსახლეობას წარმოადგენდა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართველენოვანი იყო.

სოფლადაც ებრაელები საცხოვრებლად ამჯობინებდნენ შედარებით მსხვილ დასახლებულ პუნქტს (ჩვეულებრივ, სასოფლო თემის ცენტრს), რომელიც სასოფლო-სამეურნეო ფუნქციის გარდა, სავაჭრო-მომსახურების ფუნქციასაც ასრულებდა. მაგალითად, კულაისის დიდი სასოფლო თემის 9508 ადამიანიდან 25,3 პროცენტს ებრაელები შეადგენდნენ (სულ 2407 ადამიანი), რომლებიც

თითქმის მთლიანად ცხოვრობდნენ ამ თემის ცენტრალურ სოფელში, საკუთრივ კულაში. კულაში მოგვიანებით ოფიციალურად მიიღო დაბის (ქალაქის ტიპის დასახლების) სტატუსი.

ებრაელების საგრძნობი რაოდენობა 1926 წელს ცხოვრობდა შედარებით მსხვილ სასოფლო თემებში - ბანძაში- 677, ქარელში - 784, ლაილაში - 533, სუჯუნაში-499, ვანში-412.

\*\*\*


მოსახლეობის მომდევნო აღწერები საბჭოთა კავშირში 1926 წლისაზე ბევრად უარესად ტარდებოდა: მათ აკლდა დეტალიზაცია. 1937 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალები საერთოდ გაუქმდა [Поляков Ю.А., В.Б. Жиромская, И.Н. Киселев. Полстолетия безмолвия (Всеобщая Перепись населения 1937 г.). Социологические исследования, №7, 1990, გვ. 50-70], 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მასალები მხოლოდ ნაწილობრივ გამოქვეყნდა. ომის შემდგომი აღწერების (1959, 1970, 1979, 1989 წწ.) მონაცემები, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთმანეთთან შედარების საშუალებასაც კი არ იძლევა. ებრაელების რიცხოვნობა გამოქვეყნებულ მასალებში უმეტესწილად მოცემულია სუბეთნიკური დაყოფის გარეშე (საქართველოს სსრ-ის გამოქვეყნებულ მასალებში ებრაელებს შორის ხანდახან გამოყოფდნენ ქართველ ებრაელებს).

დემოგრაფმა ვიჩესლავ კონსტანტინოვმა 2007 წელს იერუსალიმში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა გამოკვლევა ყოფილი საბჭოთა კავშირის ებრაული მოსახლეობის შესახებ. მრავალი პირდაპირი და ირიბი წყაროს გამოყენებით, მან შექმნა მეტნაკლებად სანდო სტატისტიკური ცხრილები. 1939-1989 წლების დროინდელი საბჭოთა და 1991 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს ებრაელობის დემოგრაფიული მახასიათებლების ანალიზისას წინამდებარე სტატიის მსჯელობა დიდწილად ეყრდნობა (თუმცა, მთლიანად არა) ამ ნიგნში მოყვანილ სტატისტიკურ ინფორმაციას.

ზოგიერთ შემთხვევაში კონსტანტინოვის წყაროებს ერთგვარი უზუსტობა ახლდა და მონაცემები კორექტირებას მოითხოვდა. მაგალითად, 1939 წლის მოსახლეობის აღწერის მასალები არ იძლეოდა ებრაელების დაყოფას სუბეთნიკურ ფგუფებად, მაგრამ იმ წლისათვის მითითებული ქართველი ებრაელების რიცხოვნობას კონსტანტინოვი განსაზღვრავდა, როგორც 32 ათასს.

ეს რიცხოვნობა შეფასება ამკარად მცდარია: 13 წლის განმავლობაში ქართველი ებრაელების რიცხოვნობის 50 პროცენტით ზრდა (1926 წლის 21 ათასიდან 1939 წლის 32 ათასამდე) ფიზიკურად შეუძლებელი იქნებოდა. ქართველ ებრაელთა შემოსვლა სხვა რესპუბლიკებიდან კი ვერ მოხდებოდა, რადგან იმ დროს თითქმის ყველა მათგანი საქართველოშივე ცხოვრობდა.

ჩვენი ვარაუდია, რომ ქართველი ებრაელების რიცხოვნობა 1939 წელს 27 ათასს ვერ გადასცდებოდა და ეს მაჩვენებელი შეტანილია ცხრილ 4-ში. ასეთი რაოდენობრივი დაშვება გვაძლევს 1926-1939 წლებში მათი



რიცხოვნობის ზრდას დაახლოებით 28 პროცენტით (წლიურად საშუალოდ 1,9 პროცენტი). შედარებით სავსე პერიოდში ეთნიკური ქართველების რიცხოვნობამ საქართველოში სულ 21,5 პროცენტით მოიმატა.

**შენიშვნა:** ცხრილის მესამე სვეტში ვ. კონსტანტინოვს ქართველი ებრაელების რიცხოვნობა მოცემული აქვს მთელი საბჭოთა კავშირისათვის, რაც 1970 წლამდე ეხებოდა მხოლოდ საქართველოს სსრ-ს, რადგან მათი აბსოლუტური უმრავლესობა იქ ცხოვრობდა. მომდევნო წლებში საგრძნობი გახდა მათი გასვლა საქართველოდან საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ.

II მსოფლიო ომის პერიოდში ევროპელი ებრაელების კატასტროფა (ჰოლოკოსტი) საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს არ შეეხო, მაგრამ ირიბი გავლენა იქონია მათ რიცხოვნობაზე და სტრუქტურაზე. ნაცისტების მიერ დროებით ოკუპირებული ევროპული საბჭოთა კავშირის ტერიტორიებიდან ლტოლვილ და კავკასიაში ევაკუირებულ მოსახლეობაში მრავლად იყვნენ ამკენაზი ებრაელებიც. მათი უმეტესობა ომის შემდეგ დაბრუნდა ძველი განსახლების ადგილებზე, ნაწილი კი საქართველოში დარჩა.

ომის შემდგომ პერიოდში ებრაული მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა საქართველოში ჯერ შენედა და შემდგომში კლება დაიწყო. 1959 წელს ებრაელთა რიცხოვნობამ 51,6 ათასი შეადგინა, ხოლო მაქსიმუმ — 55,4 ათასს მიაღწია 1970 წლის იანვრისათვის, როდესაც საბჭოთა კავშირში ჩატარდა მოსახლეობის მორიგი აღწერა.

1970 წ. ებრაელებმა შეადგინეს საქართველოს მთელი მოსახლეობის 1,2 პროცენტი. იმ დროისათვის უკვე დაწყებული იყო „დიდი ალია“ (იხ. ქვემოთ) და მომდევნო აღწერების დროს საქართველოში სულ უფრო ნაკლები ებრაელი აღრიცხვებოდა. საბჭოთა პერიოდის უკანასკნელი, 1989 წ. მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით, საქართველოს სსრ-ში 24,8 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, ანუ მთელი მოსახლეობის 0,5 პროცენტი.

საბჭოთა კავშირში მცხოვრები მთელი ებრაელობის ბუნებრივი მატების ტემპი მცირდებოდა. ვ. კონსტანტინოვის გამოთვლით, რომელიც იყენებდა ე.წ. „ბრუტონა-მატს“ (ებრაელი დედების მიერ გაჩენილ ყველა ბავშვს, მამის ეროვნების მიუხედავად), 1926 წელს ბუნებრივი ნამატი შეადგენდა 15,3 პრომილეს (ანუ ყოველ ათი ათას ადამიანს საშუალოდ 153 ემატებოდა), 1959 წელს კი 3,0 პრომილეს. 1970-იანი წლებიდან საბჭოთა ებრაელობის მატების ტემპი უარყოფითი მაჩვენებლით შეიცვალა და 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით -14,0 პრომილემდე დავიდა, ანუ კედებოდა

ცხრილი 3

ებრაული მოსახლეობა 1926 წ. მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოს სსრ ავტონომიურ ერთეულებში, მაზრებში, ქალაქებსა (ქ.), დაბებში (დ.) და სასოფლო თემებში

Table with 5 columns: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, აშკენაზი ებრაელი, ქართველი ებრაელი, სხვა ებრაელი, სულ. Lists various regions and their Jewish populations.

ცხრილი 4

საქართველოს ებრაული მოსახლეობის დინამიკა 1926-1989 წლებში (ათასებში)

Table with 5 columns: აღწერის წელი, საქართველოს ყველა ებრაელი, მათ შორის ქართველი ებრაელი, თბილისში მცხოვრები ებრაელები, თბილისელი ებრაელების ხვედრითი წილი საქართველოს ებრაელობაში (%).

მეტი, ვიდრე იბადებოდა.

რაც შეეხება საქართველოს ებრაელების ყველა სუბეთნიკურ ჯგუფს, 1959 წ. მათი ქალების "ბრუტო-შობადობა" (მამის ეროვნების მიუხედავად) იყო 23,4 პრომილე, რაც ორჯერ აღემატება საკავშირო მაჩვენებელს ყველა ებრაელისათვის (12,3). 1959 წ. საქართველოში ებრაელობის ბუნებრივი ნამატი შეადგენდა 14,2 პრომილეს, საბჭოთა კავშირის მთელ ებრაელობაში კი მხოლოდ 3,0-ს. 1989 წ. ბუნებრივი ნამატის მაჩვენებელი საქართველოს ებრაელობაშიც უარყოფითი გახდა (-3,6), მაგრამ ისიც განსხვავდებოდა ბევრად უარესი მაჩვენებლისგან საბჭოთა კავშირის მთელი ებრაელობისათვის (-14,0).

1921-1991 წლების საქართველოს ებრაული მოსახლეობის სოციალური ცხოვრების ანალიზი უნდა გაკეთდეს მთელ საბჭოთა კავშირში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში.

ობიექტურად დადებით შეფასებას იმსახურებს ის, რომ რუსეთში მონარქიის გაუქმების შემდეგ 1917 წელსვე გაუქმდა ებრაელების "ბინადრობის ზღვარი", მოიხსნა „პროცენტული შეზღუდვა“ უმაღლეს სასწავლებლებში ებრაელთა მიღებისათვის და ცარიზმის სხვა ანტიებრაული შეზღუდვები. ადრე დაბებში შეყუჟულ ებრაელებს ფართო ასპარეზი გაეხსნათ დასაქმებისა და სამსახურებრივი წინსვლისათვის. მათ შეეძინათ განსახლების არეალის გაფართოების საშუალება. აშკენაზი ებრაელები მრავლად დასახლდნენ მოსკოვში, ლენინგრადში, რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში, დაენაფნენ განათლებას და დანიშნულდნენ სახელმწიფო სამსახურსა და კომუნისტური პარტიის აპარატში.

ვ. კონსტანტინოვის გამოთვლით, 1920-იანი წლების პირველ ნახევარში ებრაელები შეადგენდნენ საკავშირო კომპარტიის წევრების 5 პროცენტს, რაც სამჯერ აღემატებოდა მათ წილს საბჭოთა კავშირის მთელ მოსახლეობაში (1,8 პროცენტი). ეს ირიბად გვიჩვენებს მათ საგრძნობ როლს იმდროინდელი საბჭოთა კავშირის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში.

1920-იან წლებში საქართველოს კომპარტიის (რომელიც საკავშირო კომპარტიის რეგიონულ ორგანიზაციას წარმოადგენდა) შემადგენლობაში ებრაელები 0,8 პროცენტს შეადგენდნენ: ეს ნაკლები იყო მათ წილზე საქართველოს მთელ მოსახლეობაში (1,15 პროცენტი), მაგრამ უთანაბრდებოდა ქართველი ებრაელების წილს (0,78 პროცენტი 1926 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით). მომდევნო ათწლეულებში საქართველოს კომპარტია ინარჩუნებდა ამ პროპორციას (0,8 პროცენტს) ებრაული წარმოშობის პარტიის წევრებისათვის [Константинов, გვ. 249].

საბაზრო ურთიერთობებთან ტრადიციულად დაკავშირებული ებრაული მოსახლეობისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა 1921-1928 წლებში საბჭოთა კავშირში მოქმედი "ახალი ეკონომიკური პოლიტიკა" (Новая

экономическая политика, "ნეპ"), რომელიც კერძო მენარმეობისა და ვაჭრობის გარკვეულ უფლებას იძლეოდა.

1928 წელს "ნეპ"-ის გაუქმების შემდეგ ებრაელებმა ისევე განიცადეს ტოტალიტარული ხელისუფლების წინააღმდეგობა, როგორც სხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა. მოხდა მათი კერძო საკუთრების (სანარმოები, სახელოსნოები, დუქნები, სახლები) ნაციონალიზაცია. 1920-იანი წლების ბოლოს დაწყებული დაჩქარებული კოლექტივიზაცია — კოლმეურნეობებში ძალადობრივი გაერთიანება, მიწის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, პირუტყვის იძულებითი ნაციონალიზაცია — საქართველოს ებრაელობის შედარებით მცირე ნაწილს შეეხო: როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი სამი მეოთხედი ქალაქებში ცხოვრობდა და არა სოფლებში.

1937-1938 წლების პოლიტიკური რეპრესიები განსაკუთრებით მძაფრად იგრძნეს ებრაელებმა მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც მათ თვალსაჩინო სახელმწიფო, პარტიული და სამეურნეო თანამდებობები ეჭირათ. ქართველი ებრაელები პოლიტიკურად ნაკლებ აქტიური იყვნენ და ამ რეპრესიების შედეგად, სავარაუდოდ, აშკენაზი ებრაელებთან შედარებით პროპორციულად ნაკლები დანაკარგი უნდა განეცადათ, თუმცა, მაგალითად, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გერცელ ბააზოვის რეპრესირება ქართველ ებრაელთა თემისათვის მძიმე დარტყმას წარმოადგენდა.

საქართველოში 1937-1938 წლების რეპრესიების მსხვერპლთა ეთნიკური შემადგენლობის შესახებ გერმანელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ წლებში საქართველოში დააპატიმრეს 207 აშკენაზი და 82 ქართველი ებრაელი. შედარებისათვის: იმავე წლებში დააპატიმრეს 13 ათასამდე ეთნიკური ქართველი, რომელთაგან 5,5 ათასზე მეტი დახვრიტეს [Большевистский порядок в Грузии (Издание в 2-х томах. Том 1: Большой террор в маленькой кавказской республике). Составители Марк Юнге, Бернд Бонвеч. Москва: АИРО-XXI, 2015].

ეთნიკური სოლიდარობა, მკაცრი პატრიარქალური გარემო, რომელიც ობიექტურად უადვილებდა ებრაელებს თვითგადარჩენას შუა საუკუნეების ფეოდალური ამილობის პერიოდში და რუსეთის იმპერიაში მათთვის არსებული შეზღუდვების პირობებში, დიდხანს შენარჩუნდა საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულებშიც.

(დასასრული იქნება)

- 5. ამჟამად ქ. გარდაბანი
6. ამჟამად ქ. თეთრიწყარო
7. ამჟამად კასპის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალქალაქი
8. ამჟამად ქ. ბოლნისი
9. ამჟამად ქ. დმანისი
10. აფხაზეთის ხელშეკრულებითი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (ახსსრ, Договорная ССР Абхазия) არსებობდა 1921-1931 წლებში. 1924 წლის საბჭოთა კონსტიტუცია მას განიხილავდა საქართველოს სსრ-ის ავტონომიურ ერთეულად. „შეთანხმებითი რესპუბლიკის“ სტატუსი ანომალია იყო და 1931 წელს საბჭოთა კავშირში ჩატარებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რეფორმის პროცესში მას ოფიციალურად ეწოდა „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.
11. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. წინსვლა
12. 1937 წელს ჩატარებული მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემები ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის (ანუ ი.სტალინის) ბრძანებით გაასაიდუმლოეს, ხოლო აღწერის ორგანიზატორები დახვრიტეს, როგორც „მავნებლები“. ასეთი განაჩენის მიზეზი იყო შემდეგი: აღწერამდე სტალინმა განაცხადა, რომ „სოციალისტურმა აღმშენებლობამ“ თითქოს გამოიწვია საბჭოთა კავშირის მოსახლეობის განუხრელი ზრდა. აღწერის შედეგებმა კი, პირიქით, აჩვენა მოსახლეობის საგრძნობი კლება იქ, სადაც 1929-1932 წწ. კოლექტივიზაცია (კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანება) ძალადობრივი მეთოდებით ჩატარდა და შეინირა 7 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე. ეს ძირითადად მოხდა უკრაინაში, ყაზახეთსა და სამხრეთ რუსეთში. 1937 წლის აღწერის შედეგები მხოლოდ 1990 წელს გამოქვეყნდა.
13. ეს წიგნი მომართულია პროფ. რეუვენ ენოხმა (რუბენ ენუქაშვილმა), რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ.

# ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი

## „მენორას“ სტუმარია რობერტ გოლანი

რობერტ გოლანი ერთი იმ ლიდერთაგანაა, რომელიც ქმნიდა 70-80-იან წლებში ისრაელში ასეულ ქართველ ებრაელთა სახესა და ისტორიას. ამ პიროვნებასთან დაკავშირებულია ბევრი ისეთი ფაქტი, რომელიც წარმოაჩინებს ისრაელში ქართველი ებრაელების აბსორბციის რთულ პროცესსა და მიღწეულ გამარჯვებებსაც. ამიტომ ვადაქვყავთ, მას გაესაუბრობოდათ — მასთან საუბარში გაგვიკვლია, თუნდაც ნოვად, თუ როგორი გზა გაიარა ისრაელში ქართველმა ებრაელებმა.

**ლია კრიხელი:** უწინარესად, მინდა უღრმესი მადლობა მოგახსენოთ იმ დიდი საჩუქრისთვის, რაც თქვენ სრულიად გაიღეთ ჩემი პროექტის „გაცივანით თქვენი შვილები“ს მეათე, საიუბილეო საღამოს მონაწილეთათვის. თქვენი გადამწყვეტილება, რომ ჩვენი თემის წევრთა აქ დაბადებული შვილები ებრაულ ენაზე გაეცნონ და იამაყონ საქართველოს ებრაელთა ისტორიით, არის სრულიად გამართლებული. ეს ნიგნი, კარგად ასახავს ჩვენი თემი ყოფას საქართველოში და ალიისაკენ სწრაფას, ამიტომ ბევრი მათგანისთვის საინტერესოა. კიდევ ერთხელ გმადლობთ! რამდენადაც ვიცი, თქვენი წინაპრები ქუთაისიდან არიან. თუ შეიძლება, გაგვაცანით თქვენი ოჯახი. რობერტ გოლანი: მე ჭეშმარიტი სიამოვნება მომანიჭა თქვენი პრექტის ახალგაზრდების გაცნობამ. მართლაც საამაყო თაობა გყავს. დიას, დავიბადე ქუთაისში აბრამ და მანია ელიგულაშვილების ოჯახში. მყავდა ერთი ძმა და ერთი და. ცნობილი ფაქტია, რომ 1938 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ქუთაისის დიდი სალოცავის დაკეტვა დააპირა, მამაჩემი — ქუთაისელმა ებრაელებმა კი იბრძოლეს სალოცავის გადარჩენისთვის. ამით შორის აქტიურობდა მამაჩემი — აბრამ ელიგულაშვილი. მათ ხელისუფლებას არ მისცეს და არ მისცეს სალოცავის დანგრევის საშუალება. მამა და მისი თანამოაზრენი დააპატიმრეს. მამაჩემს ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. სამწუხაროდ, იგი განთავისუფლებამდე ორი კვირით ადრე გარდაიცვალა. მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, რომ მამაჩემისა და ჩემი ძმის დაპატიმრებისა და სასამართლოს საარქივო მასალები მომეძიებინა. ამ ერთი წლის წინ მივიღე კიდევ. 1989 წელს მამაჩემის საქმეს რეაბილიტაციის სტატუსი მიუღია. ეს საბუთიც ჩემს ხელთაა. ასევე კომუნისტების ხელით დაიღუპნენ მამაჩემის ძმა, რეუბენ იეუდას ძე ელიგულაშვილი, ჩვენი ბაბუა იეუდა და ჩემი ძმა — მიშა. ხოლო მამაჩემის ბიძაშვილებს, რაფაელ ელიგულაშვილს, ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯა. ეგრეთწოდებული „სამართალდამცველები“ ჩვენს ოჯახში ხშირად აწყობდნენ ჩხრეკას და არც ნივთების ნაღებებს თაკილობდნენ. ამდენი ნერვიულობისა და შიშის ფონზე, ჩემს დას გულის შეტევები განუვითარდა, რაც თანდათან რთულ ავადმყოფობაში გადაიზარდა. ერთი კოლოფი წამლის საყიდლად, დედაჩემმა ჩვენი სახლის ერთი ოთახი გაყიდა. მეორე კოლოფისთვის ფული ვეღარ იშოვა. ვერასოდეს დავივწყებ იმას, რომ ჩემი დის მკურნალმა ექიმმა, კარდეროლოგმა ჩიქოვანმა, ჩემს დას თავად უყიდა და მოუტანა წამალი, მაგრამ სამწუხაროდ, ამან ვეღარ უშველა და იგი 21 წლის ასაკში გარდაიცვალა. ყველაფერმა ამან საბჭოთა წყობა შემაძულა. 15 წლისამ დავტოვე ქუთაისი და ლენინგრადში გადავსახლდი ბიძასთან. ამ შესანიშნავ ქალაქში გავაგრძელე სწავლა, დავუახლოვდი ჩემი შეხედულების თანატოლებს და პოეტ ოლგა ბერგოლცის მიერ დაარსებულ იატაკქვეშა ჯგუფში მოვხვდი — მათს საღამოებს ვესწრებოდი. 22 წლისა ქსოვილების სანაწარმოში ვმუშაობდი. იქ დამეზადა მალეწობადი საღებავის შექმნის იდეა. გამოგონებისთვის 46 მანეთით დამასაჩუქრეს. საღებავი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა, „ცეხები“ (ქსოვილის საამქროები) ყიდულობდნენ. ვილაცხამ დამაბეზლა და ჩემზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა. 1968 წლის 16 თებერვალს მოსკოვის სასტუმრო „როსიაში“ შემიპყრეს და პამირის მთებში მიკრეს თავი, მაგრამ ყველაფერს გავუძელი. სამი წლის შემდეგ დავბრუნდი დედისთან ქუთაისში. მალე დავოჯახდი და ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების აზრიც მომწიფდა. ამრიგად, დედაჩემი მანია, მეუღლე ფანია, მისი მშობლები და ჩემი ორი მცირეწლოვანი ბავშვი, ალიის რთულ გზას დავადექით.

**ლ. კ. რა იყო ყველაზე რთული?**  
**რ. გ.** უკვე მოგახსენეთ, რომ 16 თებერვალს დამაკავეს. ზუსტად რვა წლის შემდეგ, 1976 წლის 16 თებერვალს, ისრაელში ამოსვლიდან ოთხი წელიც კი არ იყო გასული, რომ მე გოლდა მეირთან და მენახემ ბეგინთან ერთად, გავფრინდი ბრიუსელში ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სხდომაზე. იქ სიტყვით გამოვედი, როგორც საბჭოთა ალიის წარმომადგენელი და დელეგატებს მოვუწოდე, თავი არ დაეუხაროთ კომუნისტურ ხელისუფლებას და ველაპარაკოთ თანაბარი პოზიციებიდან. ეს მაგალითი ნათელყოფს, რომ ჩემი აბსორბცია არ იყო ძნელი თუმცა, საზოგადოებრივ აბსორბციაზე ამა სვერ ვიტყვი.

1972 წელს ივლისში ამოვედი ისრაელში. გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და ისრაელის უმშრომლობაში დავიწყე მუშაობა. ეს ჩემი ცხოვრების ოცნება გახლდათ, მაგრამ მორეს მხრივ, ფანია, პატარა ბავშვები და მოხუცების მიტოვება ვერ გავბედე და ამიტომ უარი ვთქვი.

ისრაელი პირველივე ნახვით შემეყვარა სამუდამოდ. ბინა ახალ დასახლებაში — ნაცარეთ ელითში დავიდე. სამ ადგილზე ვმუშაობდი: დილიდან 16 საათამდე, მოზარდთა დასაქმების ხელმძღვანელად, 16-დან 22 საათამდე სპორტის და კულტურის სახლში, ღამე კი, საცურაო აუზის დარაჯად. როცა ბავშვები წამოგვეზარდნენ, მეტი თავისუფალი დრო მქონდა და საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულებს ჩავუდექი სათავეში. ვენმარებოდი ზოგიერთი საკითხის მოგვარებაში ჩვენი თემის 40 ახალგაზრდა გავაერთიანე და პირველად ისრაელის ისტორიაში „ჰაფოელ“ ნაცარეთ ელითის ფეხბურთის ქართული გუნდი ჩამოვყავილიბე. მალე ჩვენი გუნდი ისრაელის პირველობის ლიგაში შევედა. როცა 1973 წელს ქიფურის ომი დაიწყო, მთელმა საქართველოს ახალგაზრდობამ ომში წასვლა მოინდომა, მაგრამ ყველამ ვერ მოასწრო საბუთების შეგროვება და ამასობაში ომიც დამთავრდა. ჩემი გუნდის წევრები ცოცხლები დაბრუნდნენ. ზოგი დაიჭრა, ერთი მათგანი ნ თვე ჰოსპიტალში იწვა. ჩვენი გუნდის თამაშისას სტადიონები მაყურებლით ივსებოდა. ჩემი თელავივი გადმოსვლის შემდეგ, ჩემი ფეხბურთელები სხვა გუნდს შეუერთდნენ. იგი ახლაც უმაღლეს ლიგაში თამაშობს.

**ლ. კ. ხედავთ თუ არა, თაობებს შორის განსხვავებას და თუ ხედავთ, რა არის განმასხვავებელი ნიშანი? რა უნდა შეინარჩუნონ ჩვენი თაობიდან და ჩვენ რა უნდა მივიღოთ მათგან?**  
**რ. გ.** მალე აღვნიშნავ ისრაელში ამოსვლის 50 წელს. ამ მშვენიერ და შრომით დატვირთულ პერიოდში დავინახე, თუ რაოდენ დიდი წვლილი შეიტანეს ისრაელის განვითარებაში საქართველოდან ამოსულთა შვილებმა. ამის საილუსტრაციოდ, თქვენი პროექტის მონაწილე ახალგაზრდებიც იკმარებდა, რომელთა ნახვამ გული სიამით ამივსო და სიამყე



მომგვარა. სასურველია, ჩვენგან ოჯახის მთავარი ფასეულობები შეინარჩუნონ და ჩვენ კი მათგან მიზნის მისაღწევად თავდაუზოგავობას თუ ვისწავლით, სასიკეთოდ წავგადაგება.

**ლ. კ. ამბობენ, ცილისწამებაც არ დაგკლებიათ. როგორ დააღწიეთ თავი?**

**რ. გ.** შურიან ხალხს ვერაფერი შეაჩერებს. თავიანთ სიზარმცესა და უუნარობას ვერ ერევიან. შურიან და ცილისწამებელ ადამიანებზე ბევრი მააქვს სათქმელი, მაგრამ თავს შევიკავებ. ისრაელში საქართველოს ებრაელობამ ცილისწამების არაერთი შემთხვევა იგემა. ჟურნალისტები ერთის შეცდომის, ან უღირსი საქციელის გამო, მთელ თემს ადანაშაულებდნენ. გაზეთების სათაურები დიდი ასობით იტყობინებოდნენ: საქართველოდან ამოსულმა ესადაეს ჩაიდინაო. გადაწყვიტეთ ბრძოლა, რათა ცილისწამება შეწყვეტილიყო. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით მათ, ვინც მხარში ამომიდა: რონა მიხელაშვილი, ექიმი ისახარ იაკობაშვილი, მათემატიკოსი რიტა დავარაშვილი, პროფ. ბორის ბარელი (ბოთერაშვილი), ქართული რადიოს ხელმძღვანელი, თამარ მამისთვალოვი, გერმან მეგრელიშვილი, სიმე ჯანაშვილი, დავით ზორელა (ძოროსაშვილი), იცხაკ ჯანაშვილი და სხვა. წერილობით მივმართეთ და შეხვედრები ვთხოვეთ წამყვანი გაზეთების ხელმძღვანელებს. ამან კარგი შედეგი გამოიღო. მახსოვს, ისრაელის პრესის პრეზიდენტის თავმჯდომარეს, დოქტორ როტენშტრაისს და გაზეთ „იედიოთ ახრონოთის“ ხელმძღვანელებს, ჩვენი საუბრის დროს თვალეზე ცრემლიც კი მოადგათ. გადაწყდა, რომ ცუდი შემთხვევების გაშუქებისას, წარმომავლობა არ აღინიშნულიყო. ეს გადამწყვეტილება ჩემთან იწახება. ეს ჩვენი გამარჯვება ყველა თემს შეეხო და მას შემდეგ აღარ იწერება დამნაშავე თუ ეჭვმიტანტი რომელი ქვეყნიდანაა.





ლ. კ. ამბოზენ, ფული მეგობრობას თიშავსო. ასეა, თუ არის კიდევ ისეთი რამ...?

რ. გ. მეგობრობა და ნათესობა ფულზე არ იყიდება. თუმცა, მართალი ადამიანი უფრო იჩაგრება, ვიდრე ცრუ და ავაზაკი. არიან ისეთები, ვინც ფულის ცთუნებას ვერ გაუძლო, მაგრამ დროის გამოცდით, მეგობრობა მაინც იმარჯვებს.

ლ. კ. როგორც ყველა ადამიანი, ალბათ, თქვენც ფიქრობთ, რომ მთავარი სათქმელი ჯერ არ გითქვამთ. ხომ არ გაგვანდობთ, რა ვერ აისრულეთ და რის გაკეთებას აპირებთ?

რ. გ. მე 84 წლის ვხდები და წერა კიდევ შემეძლია. მსურს ყველამ გაიგოს, რამდენი ტანჯვა აქვს ჩვენს ერს გადატენილი და დააფასოს ჩვენი სამშობლო — ისრაელი. მინდა ყველამდე მივიტანო, რაც აქამდე ვერ მივიტანე და ამიტომ ვწერ, ვწერ ყველასთვის.

ლ. კ. თქვენი წიგნებიდან, რომელს გამოყოფდით, რომელი მიგაჩიათ წარმატებულად?

რ. გ. ყველა თანაბრად ძვირფასია ჩემთვის, ძნელია გარჩევა, მაგრამ წარმოგიჩინებ ჩუთაისის ებრაელობაზე „ლოცვის კარები“, მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ამით, ნაწილობრივ მაინც განხორცილდა ჩემი ოცნება, რაიმე გამეკეთებინა ქუთათურებზე. აგრეთვე, მინოდა გამომეცა წიგნად ანგანსვენებულ დანიელ ხანანშვილის გამოკვლევები საქართველოს ებრაელთა ისტორიიდან. ეს წიგნი ჯერ ქართულად გამოიცა, შემდეგ კი, ივრითზე. როგორც მოგახსენეთ, მე 16 თებერვალს დამაპატიმრეს მოსკოვში და ჩემმა შვილმა, რომელიც ცნობილი ადვოკატია, ჩემი ამ თარიღსადმი დაწერილი ორტომიანი გამოცემა „ჯოჯოხეთიდან თავისუფალი“, რასაც „16 თებერვალი“ დაემატა. ეს ორი წიგნი გამოვიდა ივრითზე, ინგლისურ, რუსულ და ჩეხურ ენებზე. კიდევ მზადდება ჩემი სამი წიგნი.

ლ. კ. თქვენი მეუღლე თქვენი თანამგზავრი და მეგობარია. მოხარული ვიქნები, თუ რამდენიმე სიტყვით უფრო ახლოს გაგვაცანობთ ქალბატონ ფაინას.

რ. გ. ჩემი მეუღლე, ფაინა ბოგომოლნი, ჟმერნიკიდან, უკრაინის ცნობილი ებრაული დასახლებიდანაა. დედამისის გვარია ვაისმანი, იგი ისრაელის პირველი პრეზიდენტის, ხაიმ ვაიცმანის ნათესავია. ფაინას ბაბუა და და ხაიმ ვაიცმანი ბიძაშვილები გახლდნენ. ჩემმა მეუღლემ ლენინგრადში დაამთავრა ეკონომიური, აქ კი, სოციოლოგია. გვყავს ორი შვილი. ჩემი ვაჟი, ალექს (ალიკი) უკვე გამოცდილი ადვოკატია. მან დიპლომატიური განათლებაც მიიღო. ჩემმა ქალიშვილმა, მინამ, იერუსალიმის უნივერსიტეტში ჯერ პოლიტოლოგიისა და ესპანური ენის ფაკულტეტები დაამთავრა, შედეგ კი, სამედიცინო. გვყავს რვა შვილიშვილი. უფროსი შვილიშვილი, გილი, სწავლობს კინემატოგრაფიულზე. სხვებიც მალე დაადგებიან მის გზას უმაღლესი განათლებისკენ.

ლ. კ. ისრაელში თქვენი საქმიანობა მარტო წიგნებით რომ არი იფარგლება, ცნობილია. გვიამბეთ, რა გიკეთებიათ — თქვენი ღვანლის შესახებ.

რ. გ. 1987 წელს აბსორბციის მინისტრმა, იაკობ ცურმა და მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა, პარტია „ავოდას“ ხელმძღვანელმა, შიმონ პერესმა შემომთავაზეს რეპატრიანტებისთვის დასახმარებლად ახალი პროექტების შემუშავება. იმ პერიოდში სახელმწიფო ავტომობილის, ტელევიზორის, მაცივრისა, თუ სხვა ნივთების შეძენისას ახლადამოსულებს დიდ შეღავათებს უწევდა. ზოგი არ სარგებლობდა ამ შეღავათებით, რამეთუ ეს ნივთები თან ჰქონდათ ჩამოტანილი, ან ფასდაკლებითაც კი უჭირდათ შეძენა. მე გამოვთვალე, რა რაოდენობის თანხა იზოგებოდა ამ შეღავათების დროს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ოჯახის სულადო-



ბის მიხედვით 3040 ათას შეკელზე იყო ლაპარაკი. დიდი კამათის შემდეგ, შეეძელი ზემოხსენებული პირები დამეთანხმებინა, ეს თანხა ჩარიცხულიყო ბანკში თითოეული ახალი რეპატრიანტის პირად ანგარიშზე. ამ შეთავაზებამ ძალიან გაამართლა — ახალ რეპატრიანტებს ზურგს უმაგრებდა ბანკში შესული ეს თანხა. ალია საგრძობლად გაიზარდა, ებრაელები უფრო გაბედულად ამოდიოდნენ, იწყებდნენ მუშაობას, სწავლას და რაც მთავარი იყო,

შვილებს აძლევდნენ განათლებას.

აბსორბციის სამინისტროში ჩემი 6 თვის მუშაობის განმავლობაში, აღმოვაჩინე 5000 უბინაო ოჯახის სია. მივალნიე მინისტრის თანხმობას, ჩემი განკარგულება ბინების საკითხში, მისაღები ყოფილიყო. ამრიგად, ბევრი ოლე ხადაში დაკმაყოფილდა ბინით. დამიბარა იაკობ ცურმა და მითხრა: „რობერტ, რა შეიძლება გაკეთდეს, სამინისტროს თანხები არ გააჩნია და რა გვეშველება?“ ვიფიქრე, როცა მინისტრი გაიგებს, რომ რეპატრიანტებს ბინები დაურიგდათ და ზოგიერთი ბინის ქირის ნაწილსაც ლეზულობდა, ჩვენი მეგობრობა აქ დამთავრდებოდა. მეორე დღეს შიმონ პერესთან გავეშურე. ვუთხარი, რომ აბსორბციის სამინისტრო მე გავაკოტრე მეტეტი, შეიცხადა. ვუამბე, რა გეგმა შევიმუშავე რეპატრიანტების ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად. რასაც არ მოველოდი, ისე შეეცვალა რეაქცია ფინანსთა მინისტრს. შემეპო, რომ ახალამოსულთა ინტერესები დავაყენე წინ. მაშინვე დარეკა სადაც ჯერ არს და აბსორბციის სამინისტროსთვის 6 მილიონის გადარიცხვის განკარგულება გასცა.

ამ შემგზავვამ ახალი იდეა წარმოშვა. კერძოდ, შევიტანე ქნესეთში ახალი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სახლები ამენებულები იმ რაიონებში, სადაც მეტი სამუშაო ადგილები იყო. აგრეთვე, პირობები შექმნილიყო ახლადგზარდა წყვილებისთვის, რათა ბინების სიძვირის გამო, ისინი ქვეყნიდან არ წასულიყვნენ. საჯალდებულოდ მიმიჩნდა, ბინები გაქირავებულიყო მუნიციპალურ, შეღავათიან ფასებში. ამის შემდეგ, სხვა პარტიის წევრებმაც დაიწყეს მსგავსი პროგრამების შემუშავება, მაგრამ ჩემთან ბრძოლა წააგეს. ქნესეთის კომისიის თავმჯდომარემ, ტასა გლაზერმა, ამ საკითხის გარჩევა ექვსი თვით გადასდო, თან მითხრა „არ გეწყინოს რობერტ, ჩემს ხალხსაც უნდა მოვეთაბიროო“, (იგი სხვა პარტიას წარმოადგენდა). სხვა გზა არ მქონდა, მე მმართველი პარტიის ცეკას წევრი ვიყავი და ისევ მის ლიდერს, შიმონ პერესს მივმართე და ეს წინასაარჩევნო კომისიასაც წარვუდგინეთ. შევკრიბე „ავოდას“ პარტიაში შემავალი ადვოკატები, პროფესორები და მრჩეველები. ყველამ მხარი დაუჭირა ჩემს წინადადებას და დადებითად შეაფასეს. კომისიამაც დიდი მოწონებით მიიღო, მაგრამ მეტად დასანანია, რომ პარტიამ არჩევნებში წააგო და შესაბამისად არც ეს პროექტი გავიდა. დროთა განმავლობაში საბჭოთა კავშირიდან გამოსულების პოზიციები შეიცვალა და ჩვენ ძლიერ ოპოზიციას წარმოვადგენდით. ქნესეთში უკვე განიხილავდნენ იმას, რომ რობერტ გოლანის წინადადებას სხვა რესპუბლიკებიდან ამოსულებიც უჭერენ მხარსო. რა თქმა უნდა, რომ მარტო ისტორიული წიგნებით არ იფარგლება ჩემი მოღვაწეობა ისრაელში.

ლ. კ. და მაინც, რას ნაზობთ ცხოვრებაში?

რ. გ. არაფერი მაქვს სანანებელი. სირთულეები ყველასა აქვს, ეს არ მაძლევს სინანულის საბაბს. ისრაელში ყველა ჩემი წინაპრის სახელი დავიბრუნე და ვიმედოვნებ, რომ არც ჩემს მომავლებს შევარცხვენ.

ლია კრიხალი

„მე არ ქნა!“

საქართველოში თანდათან იზრდება იმ ისრაელელ მწერალთა რიცხვი, რომლებიც ქართულ ენაზე ითარგმნება და ჩვენს მკითხველს საშუალება ეძლევა მშობლიურ ენაზე გაეცნოს ისრაელის წინა თაობებისა, თუ თანამედროვე მწერალთა თხზულებებს. ამ მხრივ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მამუკა ბუცხრიკიძე. ნ. ბუცხრიკიძემ არაერთი ისრაელელი მწერლის ნაწარმოები უშუალოდ ებრაული ენიდან თარგმნა. მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში გვერდაუვლელი მნიშვნელობის ფაქტია ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ ებრაულ ენაზე თარგმნა, რომელიც ისრაელში გამოიცა.

ამასწინათ კი „სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა მამუკა ბუცხრიკიძის მიერ ებრაული ენიდან თარგმნილი თანამედროვე ისრაელელი მწერლის — ეთგარ კერეთის მოთხრობების კრებული „მე არ ქნა!“

წიგნის რედაქტორია ნინო გოგალაძე, ტექნიკური დიზაინი ეკუთვნის გიორგი ლომსაძეს.

წიგნი გამოიცა საქართველოში ისრაელის საელჩოს დახმარებით.



# სამედიცინო სფეროს მკვლევარი ებრაელი ექიმები საქართველოდან

**მიხაილ ხანანაშვილი - Michael Khananashvili** (1928-2018) სსრკ სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი (1984), რუსეთის სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი (1991), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1996), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2013), პროფესორი მიხაილ ხანანაშვილი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულია (1951). ასპირანტურა ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში დაამთავრა და ფიზიოლოგიის განყოფილებაში ჩაუდგა სათავეში. უმაღლესი ნერვული მოქმედების სპეციალისტი, 1980 წ. – ივანე ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად ინიშნება. არჩეული იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. უმძიმესი მოვალეობა აიღო თავზე: აღასრულა თავისი მასწავლებლის — ივანე ბერიტაშვილის ოცნება - შეძლო ინსტიტუტისათვის ახალი, თანამედროვე შენობის აგება. მიხაილ ხანანაშვილმა შემოიტანა ცნება საინფორმაციო ნევროზები, ჩამოაყალიბა უმაღლესი ნერვული მოქმედების ექსპერიმენტული პათოლოგიის სამეცნიერო სკოლა. ავტორია 16 მონოგრაფიის და 300 სამეცნიერო ნაშრომის, მრავალი მსოფლიო აკადემიის მეცნიერული საზოგადოების წევრია. არაერთხელ იქნა დაჯილდოებული, მათ შორის (1991) პავლოვის სახ. ოქროს მედლით – „ფიზიოლოგიის განვითარების თვალსაჩინო გამოგონებისათვის“. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია 34 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი. მან შექმნა ფართოდ აღიარებული მეცნიერული სკოლა ფსიქოფიზიოლოგიის დარგში. დაარსა საერთაშორისო ჟურნალი „მეხსიერება“ და მისი მთავარი რედაქტორი გახლდათ.

**დანი მისაელი - Dan Michaeli (მიხელაშვილი)** – (1933-2006) დაიბადა ისრაელში, აქ მიიღო სამედიცინო განათლება (1958 წ.). თელ-ჰაშომერის საავადმყოფოში თერაპიის დარგში დახელოვნების შემდეგ, ისრაელის არმიის სამედიცინო სამსახურში განაგრძობს პროფესიულ საქმიანობას. პროფესორი მიხაილი, სახელმწიფო ექიმი, ინიშნება ისრაელის არმიის სამედიცინო სამსახურის უფროსად. დემობილიზაციის შემდეგ არჩეულ იქნა იხილოვების საავადმყოფოს გენერალურ დირექტორად. 1984 წელს დაინიშნა ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი უწყების გენერალურ დირექტორად. მისი მეცნიერული კვლევა შინაგან სუნთქვითა და ინფექციურ დაავადებათა დარგში საყოველთაოდ აღიარებულია. აღსანიშნავია და დასაფასებელია პროფესორ დანი მისაელის დამოკიდებულება, თანადგომა და დახმარება საქართველოდან ამოსული ექიმებისადმი. 1992 წლიდან გარდაცვალებამდე მსახურობდა „კლალიტის“ ჯანმრთელობის სერვისის საბჭოს თავმჯდომარედ. ხელმძღვანელი თანამდებობების პარალელურად, ასწავლიდა თელ ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია ათეული სამეცნიერო ნაშრომი. იყო მშვიდობისა და უსაფრთხოების საბჭოს, პერესის მშვიდობის ცენტრის საბჭოს წევრი, ჯანმრთელობის საბჭოს წევრი. 2003 წელს მიიღო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის სამაგალითო ჯილდო „ცხოვრების მანძილზე შეტანილი წვლილისათვის“. ავტობიოგრაფიული ნიგანი გამოქვეყნდა სახელწოდებით „მშობლიური იერუსალიმიდან“.

**შალვა მარდი - Shalva Mardi (მარდახიაშვილი)** (1933-2019) პროფესორი, ისრაელის და შვეიცარიის მოქალაქე. დაამთავრა მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი. 1962 წ. ლენინგრადში დაიცვა საკანდიდატო, 1967 წ. კიევი - სადოქტორო დისერტაცია. მისი სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობა მიმართულია კანისა და ლორწოვანი კეთილთვისებიან და ავთვისებიან ნარმოწაქმნთა მკურნალობაში უახლესი ფარმაცევტული პრეპარატების გამოყენებით. დერმატო-ონკოლოგიის დარგში მიღწეული წარმატებული მკურნალობისათვის, საფრანგეთში ჩატარებულ XX მსოფლიო კონგრესზე, პროფესორი შალვა მარდი მიჩნეულ იქნა საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთ თვალსაჩინო სპეციალისტად დერმატოლოგიაში. მან წარმოადგინა მარდების შექმნილი პრეპარატი - „MMMM“, რომელიც გარანტირებულად კურნავს კანისა და ლორწოვანის სიმსივნეებს, არატოქსიკურია და არ საჭიროებს ავადმყოფის ჰოსპიტალიზაციას. პროფესორი შალვა მარდი ევროპის და ამერიკის დერმატოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის, კანის ქირურგიის საერთაშორისო გაერთიანების, კანის დაავადებების კვლევის ევროპული გაერთიანების,

კოსმეტიკური დერმატოლოგიის საერთაშორისო გაერთიანების, დერმატოლოგთა საერთაშორისო გაერთიანების მმართველობის, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, რუსეთის სამხედრო აკადემიის პროფესორი და საპატიო დოქტორი, იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო გაერთიანების საპატიო პროფესორი, კანის კიბოვანი დაავადებების სანინალმდეგოდ ბრძოლის საერთაშორისო პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი (WHO-ს ფარგლებში), რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. საქართველოს ერთ-ერთი პიკი მის სახელს ატარებს. ქ.ქუთაისში არის მისი სახლ-მუზეუმი. ამავე დროს შ.მარდი გახლდათ მხატვარი და თვითნასწავლი მოქანდაკე, წერდა მუსიკას. 1975 წელს შ.მარდი გახდა ქ.იერუსალიმის საპატიო მოქალაქე. მარდის ოჯახი: ქ-ნი როზმარი - ყველა მისი მიღწევების თანაავტორი - და ორი შვილი, სამივე - მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ.

**გივი წინუაშვილი - Givi Tsitsushvili** (1937-2016) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული. 1965 წელს ჩაირიცხა სააკაემიო სამედიცინო აკადემიის ქირურგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, შეასრულა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გასტრო-დუოდენური სისტემის მკურნალობა კუჭის ლოკალური ჰიპოთერმიით“. განაგრძო მუშაობა მოსკოვში ბაკულევის სახ. გულსისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში. სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „თავის ტვინის სისხლძარღვების არასპეციფიკური აორტოარტერიტის ქირურგიული მკურნალობა“. პროფესორი გივი წინუაშვილი ითვლებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირში სისხლძარღვთა ქირურგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მიწვეული პროფესორის სტატუსით მუშაობდა თელ-ავივის იხილოვის საავადმყოფოში, სადაც რამდენიმე მეთოდოლოგია დანერგა. მრავალი პიონერული სასიცოცხლო ოპერაცია ჩაუტარებია, რომელიც იმ პირობებში და იმ პერიოდისათვის (1998) სენსაციურად ითვლებოდა. მრავალ ქვეყანაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და კონგრესებზე გახლდათ მონაწილე. აშშ-ში მონაწილეობის ცენტრში დაჰყო 4 თვე. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ქირურგიის ეროვნულ ცენტრში დაარსა ფონდი „სინაი“, სადაც მრავალ პაციენტს მიეცა საშუალება ძვირადღირებული, რთული ოპერაცია, უფასოდ გაეკეთებინა. ბატონ გივის თაოსნობით 2006 წელს ჩატარდა ისრაელ-საქართველო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც შემდგომში ყოველწლიურ ტრადიციად იქცა. პროფესორი წინუაშვილი გამოიჩინა გულმოდგინე დამოკიდებულებით ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. არც სათემო პრობლემებს აუარა გვერდი: წლების მანძილზე შეთავსებდა ხელმძღვანელობდა ებრაულ სათემო სახლს თბილისში: ბევრი სასიკეთო საქმე აკეთა.

**ჯემალ ბინიაშვილი - Jemal Biniashvili** (1941-2007) - პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. 2006 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ დასახელებულია ონკოლოგიაში ნამყვან მეცნიერად. ნამყვან აკადემიურ ჟურნალებში გამოაქვეყნა 200 სამეცნიერო ნაშრომზე მეტი ონკოლოგიის დარგში. გახლდათ სიმსივნეთა მკურნალობის დარგში 4 საავტორო უფლებების მფლობელი. აშშ გამოქვეყნებულია მისი ნიგანი „ხ-პერიმენტალ ტუმორს ინ მონკეის“. მისი კვლევის და სადისერტაციო შრომის საგანი გახლდათ „პერიფერიული ნერვული სისტემის სიმსივნეთა მორფოლოგიური და ჰისტოქიმიური თავისებურებანი“. ფართო არეალის გამოკვლევები აქვს ჩატარებული ექსპერიმენტულ ონკოლოგიაში, კერძოდ მაიმუნებში ნერვული სისტემის ავთვისებიან სიმსივნეთა ინდუქცია. ამ ექსპერიმენტალური მოდელირების არსენალს დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს კანცეროგენების მექანიზმების შესწავლაში. ბოლო პერიოდი მიუძღვნა საყოფაცხოვრებო ელექტრომაგნიტური ველების გავლენის კვლევას სარძევე ჯირკვლის კიბოს გამომწვევაში. ბატონ ჯემალის ვაჟი - შალვა ბენჯამინი - წარმატებული პროფესიონალია ისრაელის უროლოგიაში.

**ცირა ბოთერაშვილი - Tsira Boterashvili** - აჭარის დამსახურებული ექიმი, 1961 წელს ამთავრებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს. დედა-დინა დავარაშვილი, აჭარის დამსახურებული ექიმი, მამა - ბენიამინ ბოთერაშვილი, აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე. საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის კურს-



დამთავრებულნი (1937 წელი). ქალბატონი ცირა გახლავთ მე-20 საუკუნის ქართველ ებრაელ მედიკოსთა შუალედური თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელი, მათი ოჯახი კი საექიმო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი. ცირა ბოთერაშვილი მრავალჯერ მიიღო შეთავაზება ემუშავა სამეცნიერო თემებზე, მაგრამ მან არჩია კლინიკაში კვალიფიკაციის ამაღლება. სპეციალობაში დაოსტატების პერმანენტულმა პროცესმა სასურველი შედეგი გამოიღო: ბათუმის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილებიდან ექიმს (1967 წ.) ბათუმის საზღვაო საავადმყოფოში თერაპიული განყოფილების უფროს ორდინატორად ნიშნავენ. თითქმის 30 წელი იმსახურა მეზღვაურთა და მათი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. მოგეხსენებათ იმ რთული პერიოდის კლინიკის აღჭურვილობა. ქალბატონი ცირა იხსენებს: „იყო დრო, როდესაც რენიმაციული განყოფილების უქონლობის გამო, თერაპიულ განყოფილებაში ჩამიტარებია რემინინგეა ექსტრემალურ სიტუაციაში საკუთარი რისკის ხარჯზე“. ტრადიციამ წარმატებით გრძელდება: მისი ორი შვილი დავით სარიდი და ლანა ბარი სასახელოდ განაგრძობენ საექიმო მოღვაწეობას.

**რამონა გენერალოვა - Ramona Generalova (გაგულაშვილი)** – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, 1975 წელს მოსკოვში დაიცვა 3 საკვალიფიკაციო დისერტაცია თემაზე: „ლიმფოგრანულომატოზის მკურნალობის ასპექტები“. მსახურობდა კრემლის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში და 30 წელი ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ექიმ-რენიმატოლოგად. გამოქვეყნებული აქვს 60 სამეცნიერო შრომა.

**გურამ ფიჩხაძე - Guram Picchadze** - ყაზახეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების, ტექნოლოგიების და განათლების სფეროში. დოქტორი, პროფესორი, ყაზახეთის ეროვნულ სამედიცინო უნივერსიტეტში ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის გამგე. 1968 წელს დაამთავრა ალმა-ათის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 630 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (მონოგრაფია და სტატიები მალალი ინდექსის ფაქტორით). გახლავთ მფლობელი 100 ინოვაციური პატენტისა (უცხოური), ავტორი 100-ზე მეტი ნორმატიული და მეთოდოლოგიური მასალებისა. მისი ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციების თეზისები - 60: 3. ჩამოაყალიბდა ყაზახეთში სკოლა პრაქტიკული ექიმებისათვის რეპროდუქციულ მედიცინის სფეროში. 1968-69 წ. პედიატრი აქტუბინსკის ბავშვთა საავადმყოფოში; 1969-73 წწ. - ასისტენტი აქტუბინსკის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში; 1973-89 წწ. ასისტენტ - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი, ყარაგანდის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე. 2004-05 წწ. - გენერალური დირექტორი „ინფექციურ დაავადებათა სანინალმდეგო პრეპარატების“ სამეცნიერო ცენტრში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესპუბლიკური სამეცნიერო ფარმაკოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე. ვირტუალური ინსტიტუტის «Neurosciences» დირექტორი. 1989 წლიდან - კათედრის გამგე - "საპატიო პროფესორი" ყაზახეთის ეროვნულ სამედიცინო უნივერსიტეტში. არჩეულ იქნა „წლის ადამიანად 2014“ ნომინაციაში "პროფესიული მიღწევებისათვის". უზრუნველყოფდა ხელმძღვანელობას და მონაწილეობდა კვლევითი გრანტების განხორციელებაში.

არონ ხანუკოგლუ - არონ ანუკოგლუ (ენუქაშვილი) - სტამბულის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებს წარჩინებით (1961-67წ.). რეზიდენტურა ანკარის პედიატრიის განხორციელებაში და პოსპიტალში დაასრულა. 1970 წლიდან ისრაელში ამოდის და ეუფლება პედიატრიულ ენდოკრინოლოგიას თელ-ჰაშომერის და ბელინსონის კლინიკებში. 1979 წ. საკვალიფიკაციო ნაშრომი: „ზედმეტი ნონის გავლენა გლუკოზის და ინსულინის დონეზე

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

L'chaim! (To life!)

- L'chaim, haim! -Haim, l'chaim! Always destruction and the seeking of salvation ... The death camp was called 'Dachau' and the wall was smeared with kosher blood.

Heel clicks against heel, there's a penetrating - Sieg Heil! And a hand raised in salute, Michael is arising from the Old Testament, to sooth your ancient wounds.

A single question and there's an immediate cursing of the race, - Whom will you save? In short, will it be Hannah or Sarah? - There's fear in the children's eyes, alas, you were so far from Canaan.

And the wall was smeared with kosher blood and the Promised Land felt so far away from you. And I used this verse to cleanse myself, because I couldn't staunch the tears from my eyes.

A command was issued: -More cruelty! He who was most cruel was given honours, a swastika visible on the gauntlet, a mighty swastika among swastikas. This was the epoch of anti-Semitism given like a vaccine, by the leader to the masses, as the Fatherland was glorified, in an era that was sometimes predatory, sometimes com-passion-ate.

A single question and there's an immediate cursing of the race, -Whom will you elect? Quickly, tell us, Hannah or Sarah? - There's fear in the children's eyes, ... Canaan, at that moment, how far away you were.

A Jew stood on the small hill, holding a staff and he staged a show for the Egyptians, with an echo of Louis Armstrong sounding: -Let my people go!

There, where the white lamb was lost and stars twinkled in the sky, perhaps a single star will be tossed down to sail into the River Jordan.

A shepherd will ask: What's that brightness in Israel's sky, what does it signify? Listen, Israel, the road leads to the desert, sky above and billowing sands below.

Water came to the wasteland, a hoe to the sand, see fruit on the olive tree. Now a staff flies on to the stage, which will split the Red Sea in two.


A highway leads us to the Promised Land, from time to time, I take a sip of Kosher wine, Moses stands on the conductor's podium: his first Commandment to the band, to play in A flat minor!

version by Victoria Field based on translation by Natalia Bukia-Peters

„ რა შორს იყავი, მაშინ , ქანაან!“

დათო მალრადის შემოქმედებით ცხოვრებას ჯერ კიდევ იმ დროიდან ვადევნებ თვალს, როცა პოეზიაში პირველ ნაბიჯებს დგამდა, ბოლო ათწლეულში კი მისი შემოქმედება განსაკუთრებით საყურადღებო გახდა აზრობრივი დატვირთული ბისა და სიღრმისეულობის გამო. აქედან გამომდინარე, სწორედ ბოლო ათწლეულში ჩამომიყალიბდა მოსაზრება, რომ დათო მალრადი თანამედროვე ქართული სულიერების ერთ-ერთ ჩინებულ ნარმოდგენი გახლავთ. ამიტომ ვცდილობ მისი ნივთები, პუბლიკაციები არ გამომჩიეს. ეს ლექსი — „ლეხაიმ!“, თითქოს მიძღვნა — ერთ პიროვნებასთან ძმობა-მეგობრობის დასტური, მაგრამ მისი სიღრმისეულობა სულისშემძვრელია — პოეტმა

შאלה וקללה בשמה, כגגל נשואה יהודים, את מי תציל? בקצור, תנה, או שרה? וקצוני: לדיים אימה, קנצן, צר פמה היית רחוקה!



ЛЕХАИМ!

- Хаим, лехаим! - Лехаим, Хаим! Столетьями погоня не стихала. Кошерной кровью до сих пор стекаем С дощатых стен Трешлики и Дахау.

Стук каблучков и резкое: «Зиг хайль!» Вверх наискось рука рванулась рьяно... Из Ветхого Завета Михаэль Придет ли залечить бывлые раны?

Вопрос – и следом весь твой род хулят. Кого спасешь ты: Сару или Ханну? Как выберешь? Как стерпишь детский взгляд? И как же далеко до Ханаана!

Земли обетованной нет как нет, А та, что есть, полна кошерной кровью Затем стихами изливаюсь вновь я, Что из-за слез не виден белый свет.

...И был приказ: лютый еще не так – Лютейший удостоится награды. А на повязке был солярный знак – Знак свастики, не знающей пощады.

Вождь антисемитизмом заразил Своих земель огромные пространства И, несмотря на веге-тари-анство, Каннибализм как норму учредил.

דתו מגרדזה לחיים! לדניאל צח לתיום תיום... סמיד הפיש! שיצה... וךיפות "דבא" תנה עם מנטה משמרים נגם בשר בכל צל הקירות.

Вопрос – и следом весь твой род хулят. Кого спасешь ты: Сару или Ханну? Как выберешь? Как стерпишь детский взгляд? И как же далеко до Ханаана!

Еврей налег на посох. Смотрит строго. Что, фараон, ты понял речь его? Вослед ей эхо голосом Армстронга Пропело хрипло: "Let my people go!"

Исчез ягненок белый – а куда? На небе – звездный полог золототканый. Скатилась вниз летучая звезда И окунулась в волны Иордана.

Пастух спросил: «Чем полон небосвод? И что за знак полетом звездным подан?» К Израилю пустыней путь ведет Через пески под жарким небосводом.

Пришла вода в пустыню. На откосах Оливы плодоносят в должный срок. Со сцены проповедует тот посох, Который море Красное рассек.

Шоссе петляет. Цель близка уже. С вином кошерным легок разговор. Оркестром дирижирует Мошэ По заповеди ля-бемоль-минор!

перевод Николая Голия

ჩინებულად წარმოსახა ებრაელი ერის ტრაგიკული სვე-ბედი. ამიტომ გამიჩნდა სურვილი ამ ლექსს ისრაელელი მკითხველიც გაცნობოდა — მენადა, სკოდნოდათ, ქართველი კაცის შემეცნებაში, თუ როგორ აისახება ის, რასაც მსოფლიო ჰოლოკოსტს — მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელი ერის კატასტროფად მიიჩნევს, ამ კატასტროფამ ექვსი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. ეს კი საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის ლამის გაორმაგებული რაოდენობაა. 70-იანი წლების ქართველ ებრაელთა ისრაელში რეპატრაციამ არ შექმნა ის შთაბეჭდილება, რომელიც საქართველოს სრულად და ღირსეულად წარმოადგენდა. ქართული კულტურის, ყოფის შეცნობა გაცილებით გვიან დაიწყო — მაშინ როცა ისრაელში ჩავიდა ქართველი ებრაელების სულ სხვა „კლასტერი“ — ინტელიგენცია. ეს პროცესი დღითიდღე გრძელდება. ამ მიმართებით თალსაჩინოა და მისაბაძი ისრაელში საქართველოს საელ-

ჩის ძალისხმევა. მივიჩნე, რომ დათოს ეს ლექსი კიდევ ერთი შტრიხი იქნებოდა, საქართველოს, ქართული კულტურის შეცნობის გზაზე. ავტორი ამ ლექსს უძღვნის დანიელ ოზს, რომელიც დათოს ერთ-ერთ საერთაშორისო პოეტურ თავყრილობაზე გაუცვინა. დანიელ ოზი გახლავთ შვილი ჩინებული ისრაელელი პროზაიკოსის — ამოს ოზისა, ამოს ოზის რომანები მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი, ამ მწერალს მრავალი საერთაშორისო ჯილდო მიენიჭა, ამ შვიდი-რვა წლის წინათ კი სულ რაღაც ხუთიოდ წუთი დააკლდა ნობელის პრემიამდე. ამ ლექსის ბიბლიის ენაზე თარგმანთან დაკავშირებით, ორი მნიშვნელოვანი ფიგურა უნდა წარვუდგინო ქართველ მკითხველს, მითუმეტეს, რომ ამ ადამიანების სახელთან დაკავშირებულია, არა მხოლოდ დათო მალრადის ლექსის თარგმნა, ესენი არიან პიონერები ქართული პოეზიის ბიბლიის ენაზე თარგმანებისა: რეუვენ ენოხი და ორციონ

ბართანა. რეუვენ ენობი სხვა არავინაა, თუ არა, რუბენ ენუქაშვილი — ადრეულ წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, რომელიც წლების განმავლობაში ქართული ენის საკითხებზე ესაუბრებოდა ჩვენს ტელემაყურებელს და იმდენად კარგად ესაუბრებოდა, ბევრს დღესაც ახსოვს (თავს ვერ ვიკავებ, არ შემიძლია არ აღვნიშნო: იმ წლებში საქართველოში ერთადერთი ტელეარხი გვქონდა და ცდილობდა, მაყურებლისათვის ქართული ენის, მართლმადიდებლობის, მეტყველების საკითხები შეეხსენებინა, დღეს ლამის ყოველ დაბა-ქალაქში ტელემაყურებლობა შეიქმნა, მაგრამ „სელებრითებზე“, სექსიმბოლოებზე, ქალთა და კაცთა გარდერობებზე (აკი, უღარიბესი ქვეყანა ვართო!) საუბრების გამო, ქართული ენის დანაგვიანების ტენდენციის წინააღმდეგ საბრძოლველად დრო აღარ რჩებათ! აქაც კარგად ჩანს ჩვენი სულიერი „განვითარების“ კარდიოგრამა!) უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რუბენ ენუქაშვილი — რეუვენ ენობი ისრაელის ქალაქ არიელის უნივერსიტეტის პროფესორია და სერიოზულ მეცნიერულ მუშაობას ენ-

ევა. სულ ახლახან ავტორიტეტულმა გამომცემლობა „მაგნუსმა“ გამოსცა მისი მრავალწლიანი შრომის ნაყოფი — ორტომეული „ებრაელთა ქართულის ლექსიკა“, რომელიც სამეცნიერო წრეების ყურადღების ცენტრში უმაღლეს მოეხვევა. ხოლო ორციონ ბართანას რაც შეეხება, ალბათ, არის რაღაც განსაკუთრებული შეგრძნება იმაში, რომ ცხოვრობ ქუჩაზე, რომელიც უნი მამის სახელს ატარებს — გამოჩენილი პოეტი, საზოგადო მოღვაწე ყოფილა, თავად ორციონი კი პოეტი, პროზაიკოსი, მკვლევარი, არიელის უნივერსიტეტის პროფესორი. გახლდათ ისრაელის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ისრაელის პენკლუბის ხელმძღვანელი. საქართველოში მისი პირველი ვიზიტისას, როცა დათო მალრადე გახლდათ საქართველოს პენკლუბის მეთაური, რატი ამალლობელი კი მისი მოადგილე, ეს ორი მეთაური ისრაელის და საქართველოს პენკლუბებისა, ერთმანეთს ჩემს ოჯახში, მეგობრულ სუფრასთან შევახვედრე. ორციონ ბართანას უკვე მანამდე გამოეჩინა ყურადღება ქართული პოეზიისადმი და სწორედ რეუვენ ენობთან ერთად ივრითზე უთარგმ-

ნიათ და ლიტერატურულ ჟურნალში გამოუქვეყნებიათ ლია სტურუას რამდენიმე ლექსი. მოგვიანებით, როცა მე იერუსალიმში გამართულ ყრილობაზე ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარედ ამირჩიეს, კონგრესის ერთ-ერთი პირველი აქცია გახლდათ გალაკტიონის ბიბლიის ენაზე თარგმნა. ხელშეკრულებაც კი გავაფორმეთ. რეუვენმა და ორციონმა თანახმად ჩვენი შეთანხმებისა, გალაკტიონის 30 ლექსი თარგმნეს. ორციონის წიგნებიც გამოვიდა საქართველოში. ქართულ ენაზე გამოცემული მისი პროზაული კრებულისათვის წინასიტყვაობაც კი დავწერე. წლების განმავლობაში ვოცნებობდი იმაზე, რომ ქართველი პოეტები მისულიყვენ ჯვრის მონასტერში და შოთა რუსთაველის საფლავთან გაეხმიანებინათ ქართული ლექსი — ვეფხისტყაოსნიდან, აგერ დღევანდელ პოეტებამდე. 2011 წელს თბილისის მერიის დახმარებით, ოცნება ავიხდინე: როინ მეტრეველმა (საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი) მაყვალა გონაშვილმა და თქვენმა მონა-მორჩილმა, ისრაელში ქართული

პოეზიის კვირეული გავმართეთ. ამ კვირეულისათვის თანამედროვე ქართველ და ისრაელელ პოეტთა ბილინგვური კრებულები კი გამოვეცით, ისრაელელი პოეტების პნკარედიც ამ ორმა მეგობარმა გააკეთა და ქართველი პოეტებიც ებრაელად სრულიად უსასყიდლოდ თარგმნეს. მერე კი, როცა ისრაელის ქალაქებში ქართული პოეზიის საღამოები (ჯანსუღ ჩარკვიანი, ბესიკ ხარანაული, მაყვალა გონაშვილი, ჰენრი დოლიძე, როინ აბუსერიძე) ჩავატარეთ, ამ ჩვენმა ორმა მეგობარმა, უზარმაზარი შრომა გასწია, როგორც ორგანიზატორებმა. ქართული მწერლობის სწორედ ამ ორ მეგობარსა და პოპულარიზატორს ვთხოვე დათოს ლექსის თარგმნა. ლექსი ისრაელის ლიტერატურულ ჟურნალში დაიბეჭდა. ებრაული ენის დიდი ცოდნით ვერ დავიკვებნი, მაგრამ ისრაელში ჩასულს ნაცნობ-მეგობრები მეუბნებოდნენ, კარგი თარგმანიაო, რისთვისაც კიდევ ერთხელ მოვახსენებ მადლობას რუბენსა და ორციონს. **შურამ ბათიაშვილი**  
**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ 19 მარტი, 2021 წელი**

## ღირსეული ქალბატონის ხსოვნას

გარდაიცვალა საქართველოს ებრაელთა თემის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ქ-ნი ნათელა პატარკაციშვილი. ნ.პატარკაციშვილმა ცხოვრების გრძელი გზა განვლო — 90 წელს გახლდათ მიახლოებული. ყოველი მშობლის ღირსების მაჩვენებელი და დასტური, მის მიერ აღზრდილი შვილები გახლავან — ნ. პატარკაციშვილის შვილები ქვეყნის, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა წინსვლის სამსახურში იდგნენ და კვლავაც დგანან, ხოლო მისი ვაჟი — ბადრი პატარკაციშვილი „საქართველოს მოჯამაგირედ“ მიიჩნევა თავს. ამ სიტყვებით მან ყველაფერი თქვა. ქ-ნი ნათელა იმ ადამიანთაგანი იყო, ვინც თავისი შენაწირებით (სისტემატურად!), საქართველოს ებრაული ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანო-

ბას აძლიერებდა. ამით მასაც შეჰქონდა წვლილი იმაში, რომ ქვეყანაში არ მიხელებულიყო ებრაული ცხოვრების რიტმი. „მენორას“ რედაქციისათვის დაუვინყარია მის მიერ გამოწვდილი ფინანსური დახმარების ხელი სწორედ იმ წელს — ჩვენი საუკუნის წინა ათწლეულში, როცა ერთი უგვანო ვინმე გაზეთისა და მისი რედაქტორის წინააღმდეგ ბინძურ ბრძოლას ეწეოდა და თავისწაირებს რაზმავდა. ქ-ნი ნათელა გახლდათ კეთილი მეგობარი, ადამიანთა შემწე და გულმხურვალე პატრიოტი საქართველოსი, ქართულ-ებრაული ურთიერთობის ტრადიციის ერთ-ერთი მცველი და გამგრძელებელი. ამიტომ მისი ხსოვნა დიდხანს იქნება!

გაზეთ „მენორას“ რედაქცია



სისხლში OGTT ტესტზე ბავშვებსა და ზრდასრულ ორგანიზმში“. 1986-88 წ. აშშ, ბალტიმორში გაიარა პოსტდოქტორანტის სტაჟირება. ბრუნდება ისრაელში, ინიშნება ვოლფსონის სახ. სამედიცინო ცენტრის პედიატრიული ენდოკრინოლოგიის განყოფილების გამგედ. 2003 წლიდან თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პედიატრიული განყოფილების ასოცირებული პროფესორია. ბავშვთა ენდოკრინოლოგიაში ეროვნული კომიტეტის გამომცდების საბჭოს ხელმძღვანელი გახლდათ ისრაელში. 2018 წელს მიენიჭა ისრაელის ასოციაცია „ბავშვთა ენდოკრინოლოგია“ პრიზი - გაერთიანების წარჩინებული წევრი. მოპოვებული აქვს მრავალი გრანტი. კვლევის შედეგები სამედიცინო სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება. **რამაზ დათიაშვილი - Ramazi Datiashvili - New Jersey** (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი. 1972 წელს დაამთავრა მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტი. დასრულების შემდეგ ზოგადი ქირურგიის ეროვნულ სამეცნიერო ცენტრში მოღვაწეობს და 1979 წელს დაიცვა პ დისერტაცია: „ფეხის ქვედა არტერიების რეკონ-

სტრუქციული მიკროქირურგიული ოპერაციების გართულებანი“. დანიშნული იქნა მოსკოვის 51 ქალაქის საავადმყოფოში მიკროქირურგიის დეპარტამენტის უფროსად. მოსკოვის ეროვნულ ქირურგიულ ცენტრში განაგრძო აკადემიური და ქირურგიული კვლევა. 1989 წელს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, თემა; „კიდურებში მთავარი სემანტების რეპლანტაცია“. 1991 წლიდან რ.დათიაშვილი საცხოვრებლად აშშ-ში გადადის. აქ მან დაასრულა ზოგადი ქირურგია რეზიდენტურის დროს Mount Sinai ჰოსპიტალში (New York) და შემდეგ პლასტიკური ქირურგიის რეზიდენტურა ნივერსიტეც ოფედციონე ანდ ენტისტრე. პროფესორი განაგრძობს წარმატებულ კარიერას როგორც პლასტიკური ქირურგი, რატგერსის უნივერსიტეტში ქირურგიულ დეპარტამენტში. დოქტორი რ.დათიაშვილი ლიცენზირებული პლასტიკური ქირურგია აღიარებული ამერიკული საბჭოს მიერ. ის არის აქტიური წევრი ამერიკული საზოგადოების American Society of Plastic Surgeons, American Association of Plastic Surgeons, American Society of Reconstructive Microsurgery. მიწვეული პროფესორია National Centre

of Surgery Russian Academy of Medicine, Division of Plastic Surgery, Department of Surgery, Mount Sinai Medical Center, New York, New York. მრავალი სამეცნიერო ჟურნალის რედაქციის წევრია: American Society of Plastic Surgeons (ASPS), Advances in Plastic & Reconstructive Surgery, International Journal of Medicine and Medical Research. 1983 წელს, ლიტველ გოგონას, რასას, რომელსაც მოკვეთილი ჰქონდა ორივე ტერფი რამაზ დათიაშვილმა, მოსკოვში ფილატოვის ბავშვთა საავადმყოფოში ჩაუტარა რეპლანტაციის ოპერაცია, პირველად საბჭოთა კავშირის მედიცინის ისტორიაში. 2005 წელი - ოპერაცია 12 წლის Connor Episkopi ჩაუტარდა. ექიმთა ჯგუფი, რომელსაც დათიაშვილი ხელმძღვანელობდა: ალდგენილ იქნა 18 მყესის, 4 დიდი სისხლძარღვის, სამი ნერვის და ორი ძვლის მთლიანობა. მაშინვე ოპერაციის დასრულებისამებრ, ბიჭუნამ თითები აამოძრავა. პროფესორი დათიაშვილი ავტორია 100-ზე მეტი პუბლიკაციისა, მათ შორის სახელმძღვანელოები და სტატიები მსოფლიოს წამყვან ჟურნალებში. მან მიიღო უამრავი ჯილდო და ნ პატენტის მფლობელია მუშაობის პერიოდში. **ზურაბ არდენი - Zurab Arden** (აჯი-

**აშვილი)** - უმაღლესი კატეგორიის ნევროლოგი, 1972 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს. სტაჟირებას ქ.მოსკოვში გადიოდა ბურდენკოს სახ. ნეიროქირურგიის ცენტრში და ბოტკინის სახ. საავადმყოფოში, რეფლექსოლოგიის ინსტიტუტში. 1976 წლიდან თბილისის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა. აქვს გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო კვლევის შედეგები ტკივილის თავიდან აცილებისა და რეფლექსოთერაპიაში. აღსანიშნავია შრომები მიძღვნილი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევის შემთხვევაში ავადმყოფთა შემდგომი რეაბილიტაციის აკუპუნქტურის მეშვეობით. ისრაელში ამოსვლიდან მსახურობს იხილოვის საავადმყოფოში. ყურადსაღებია მისი კვლევა „ასპირინის სხვადასხვა დოზის გავლენა მეორადი სტროცე პრევენციისათვის: ლაბორატორიული ფენომენიდან კლინიკურ წარმატებამდე“. **დოდო ჩიკვაშვილი**  
**თელ-ავივის უნივერსიტეტი, სამედიცინო ფაკულტეტი**  
**(გაგრძელება იქნება)**

**დაამუშავებლნი და გამომცემელებნი:**  
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
თბილისი, ლეონიდის 11<sup>ბ</sup>,  
ტელეფონები: 299.90.96

**EAJC**  
EURO-ASIAN  
JEWISH CONGRESS

**რედაქტორი:**  
რამაზ ბათიაშვილი  
ISSN 1987-8982 UAC 070  
411.16  
8-557  
9771987898003

**რედაქტორი:**  
ქ. თბილისის მთაწმინდის  
რაიონის სასამართლოს  
მიმართ.  
რედაქტორი: **ზურაბ არდენი - Zurab Arden** (აჯი-  
411.16  
8-557  
9771987898003  
რედაქტორი: **ზურაბ არდენი - Zurab Arden** (აჯი-